



დეკორატიულ გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი

პროფესიული სტანდარტი

ეროვნული ცენტრი

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2015

1. პროფესიის დასახელება (ქართულად):

დეკორატიულ გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი

2. პროფესიის დასახელება (ინგლისურად):

Specialist of decorative applied textile

3. პროფესიული სტანდარტის კოდი

4. პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი

5. პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით–7318.

6. პროფესიის აღწერა:

დეკორატიულ გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი გამოიმუშავებს სხვადასხვა სახეობისა და სამომხმარებლო დანიშნულების ქსოვილს (გობელენი, ხალიჩა, ფარდაგი, ქვილითი, თექა, შიბორი, ბატიკა, ტრიკოტაჟის ქსოვილი, დაჩითული ქსოვილი), როგორც ხელით, ისე მანქანური წესით, ასევე შეუძლია ქსოვილის გაფორმება ქარგვის სხვადასხვა სახეობით და დაზიანებული ქსოვილის რესტავრაცია.

7. სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები:

დეკორატიულ გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის ტიპური სამუშაო გარემოა დახურული შენობა, რომელიც უზრუნველყოფილია სპეციალური ინფრასტრუქტურით.

დეკორატიულ გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის დასაქმების შესაძლებლობებია:

- ტექსტილის მანუფაქტურული წარმოება – ქსოვილის შემქმნელი ოსტატი;
- მუზეუმი–ქსოვილის რესტავრატორი;
- სასწავლო დაწესებულება – გამოყენებითი დეკორატიული ქსოვილების სახელოსნოს ლაბორანტი;
- კინო/თეატრი – დეკორატორის დამხამრე პერსონალი;
- შემოქმედებითი სახელოსნო – ქსოვილის შემქმნელი ოსტატი;
- თვითდასაქმება.

8. აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები:

კანონმდებლობით არ არის დადგენილი.

9. კვალიფიკაციის დონე ევროპულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით:

მეოთხე

10. პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:

№	პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა
1	სამუშაო პროექტის შემუშავება	1.1. ქმნის სამუშაო ჯგუფს 1.2. განსაზღვრავს ბაზრის მოთხოვნებს 1.3. ურთიერთობს პოტენციურ მომხმარებელთან 1.4. ამზადებს საჩვენებელ ნიმუშებს 1.5. საბოლოოდ უთანხმდება დამკვეთს
2	სამუშაო გარემოს მოწყობა	2.1. ირჩევს სამუშაო ფართობს 2.2. წარმოებისათვის აწყობს შესაბამის ინფრასტრუქტურას 2.3. იმარაგებს საჭირო ნედლეულსა და მასალას 2.4. ასრულებს დადგენილ შინაგანაწესს

		2.5. ანაწილებს ფუნქციებს შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით
3	კომპოზიციის შექმნა	3.1. აგებს კომპოზიციას როგორც თავისუფალ, ისე მოცემულ თემაზე 3.2. შეარჩევს ფერთა პალიტრას 3.3. აზუსტებს ნამუშევრის მასშტაბს 3.4. ამზადებს შაბლონს 3.5. ამზადებს ასლებს
4	ფარდაგის, ხალიჩის, გობელენის ქსოვა	4.1. არჩევს ესკიზს მასალაში შესასრულებლად 4.2. არჩევს სამუშაო მასალას 4.3. აზუსტებს ქსელისა და მისაქსელის სიმჭიდროვეს 4.4. აწყობს საქსოვ დაზგას 4.5. ღებავს ნართს 4.6. ქსოვს 4.7. აკონტროლებს ნაქსოვის ხარისხს 4.8. ახდენს დაზიანებული ქსოვილის რესტავრაციას
5	დაქვილთვა	5.1. არჩევს ესკიზს მასალაში შესასრულებლად 5.2. არჩევს ქსოვილს 5.3. არჩევს ნამუშევრის ზომას 5.4. ჭრის ქსოვილს 5.5. კერავს 5.6. ქარგავს 5.7. ახდენს დაზიანებული ქსოვილის რესტავრაციას
6	ქსოვილის მხატვრული დამუშავება შიბორი, ბატიკა, ქსოვილის დაჩითვა)	6.1. არჩევს კომპოზიციასა და ქსოვილს 6.2. ღებავს ქსოვილს 6.3. ხატავს ქსოვილზე (ბატიკა) 6.4. ჩითავს ქსოვილს 6.5. აფიქსირებს ქსოვილის ფორმასა და ფერს 6.6. რეცხავს
7	თექის მოთელვა	7.1. განსაზღვრავს ნამუშევრის დანიშნულებას 7.2. ამუშავებს მატყლს 7.3. ღებავს მატყლს 7.4. აფენს მატყლს 7.5. თელავს 7.6. აძლევს ნამუშევარს საბოლოო სახეს 7.7. ახდენს დაზიანებული ქსოვილის რესტავრაციას
8	ტრიკოტაჟის ქსოვილის შექმნა	8.1. ამზადებს ნედლეულს 8.2. ამზადებს გადასახვევ მანქანას 8.3. გადაახვევს ნართს 8.4. შეარჩევს საჭირო ტრიკოტაჟულ ხლართს 8.5. გააწყობს საქსოვ მანქანას 8.6. ქსოვს ტრიკოტაჟს
9	პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა	9.1. მონაწილეობს მასტერკლასებში 9.2. ეცნობა ქსოვილის წარმოების თანამედროვე ტენდენციებს 9.3. მონაწილეობს გამოფენებსა და კონკურსებში 9.4. გადის გადამზადების კურსებს.

11. პიროვნული თვისებები:

- კრეატიული

- მოწესრიგებული
- კომუნიკაბელური
- პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე
- ორგანიზებული
- პუნქტუალური

12. ხელსაწყოები, დანადგარები, მასალები:

ფუნჯი, სათლელი, ფანქარი, საშლელი, საკერავი ნემსი, სახაზავი, მაკრატელი, საჩითავი ყალიბი, თითისტარი, ნიღაბი, უთო, ხელთათმანი, მატყლის საჩეჩი, მაშა, ვერტიკალური საქსოვი დაზგა, მატყლის-ბამბის საჩეჩი, თექის სათელავი დაზგა, საკერავი მანქანა, მაგიდა, სკამი, ტრიკოტაჟის საქსოვი მანქანა, ნართის გადასახვევი მანქანა, საქსოვი მანქანა (ფანგის), შესაორთქლებელი მოწყობილობა, აკვარელი, გუაში, მატყლი, საღებავი, შემასქელებელი, რაკლი, პარაფინი, კანიფოლი, საპოხი, მმარმევა, მარილი, ბამბის ქსოვილი, აბრეშუმის ჭურბი, აბრეშუმის ქსოვილი, შალის ნართი, ბამბის ნართი, ბადექსოვილი, მძივები, რელიეფური პარკი, წებო, წებოვანი ქსოვილი, ქალაღი, რეზერვინი (ფერების დამცავი ნივთიერება), მატრიცა, კაპრონის ქსოვილი მატრიცისათვის (სიტო), საავიაციო ბენზინი, საპონი, მანქანის შესაზეთი და ზეთი.

13. პროფესიის სამომავლო ტენდენციები:

- რთული ტრიკოტაჟის წარმოება
- ჟაკარდული ქსოვილის წარმოება

14. პროფესიული ცოდნა და უნარები:

№	მოვალეობა	პროფესიული ცოდნა	პროფესიული უნარები
1	პროექტის შემუშავება	<ul style="list-style-type: none"> • იცის პროფესიონალი კადრის შერჩევის კრიტერიუმები • იცის ბაზრის კვლევის მეთოდები • იცის ბაზარზე არსებული პროდუქციის ხარისხი და ფასი • იცის საკუთარი პროდუქციის ხარისხი და ფასი • იცის ერთეული ნამუშევრის შესრულების დრო • იცის ეფექტიანი კომუნიკაციის მეთოდები • იცის უცხოური ენა კომუნიკაციის დონეზე • იცის ელექტრონული ფოსტის გამოყენების წესები • იცის კომპოზიციის ძირითადი საფუძვლები • იცის ფერმცოდნეობის ზოგადი საკითხები • იცის კომპიუტერული პროგრამები 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია გუნდური მუშაობა • შეუძლია შესასრულებელი სამუშაოს განაწილება • შეუძლია სამუშაოს შეფასება და ანალიზი • შეუძლია გადაწყვეტილების მიღება • შეუძლია პრობლემების გადაჭრა • შეუძლია ბაზრის კვლევის მეთოდების პრაქტიკულად გამოყენება • შეუძლია პროდუქციის ხარისხის შეფასება • შეუძლია კომუნიკაცია სახელმწიფო და უცხოურ ენებზე • შეუძლია მარტივი არითმეტიკული გამოთვლა • შეუძლია ხატვა • შეუძლია საჩვენებელი ნიმუშის წარდგენა • შეუძლია სხვადასხვა მასალით მუშაობა
2	სამუშაო გარემოს მოწყობა	<ul style="list-style-type: none"> • იცის ხელოვნური განათების მართებულად გამოყენების წესი 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია მუშაობისათვის მოსახერხებელი ფართობის შერჩევა

		<ul style="list-style-type: none"> • იცის მასალის მარაგის გამოთვლის მეთოდი • იცის მასალათმცოდნეობა • იცის საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები • იცის თანამშრომლების ფუნქცია- მოვალეობები • იცის შესასრულებელი სამუშაოს სირთულე და მნიშვნელობა 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია გარემოს უსაფრთხოდ მოწყობა • შეუძლია საჭირო ინვენტარისა და სამუშაო ხელსაწყოების მოძიება და შერჩევა • შეუძლია სამუშაო დაზგა-დანადგარების შერჩევა • შეუძლია ნედლეულისა და დამატებითი მასალის შერჩევა • შეუძლია გადაწყვეტილების მიღება • შეუძლია მოლაპარაკების წარმოება • შეუძლია მოვალეობების მართებულად გადანაწილება • შეუძლია ეთიკის ნორმების დაცვა • შეუძლია ადამიანური რესურსების მართვა
3	კომპოზიციის შექმნა	<ul style="list-style-type: none"> • იცის კომპოზიციის ძირითადი საფუძვლები • იცის ფერმცოდნეობის ზოგადი საკითხები • იცის სახატავი მასალის კლასიფიკაცია • იცის კომპიუტერული პროგრამები • იცის მარტივი არითმეტიკული მოქმედებების წესი 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ხატვა • შეუძლია ხაზვა • შეუძლია ნამუშევრის მასშტაბის გადიდება • შეუძლია კომპიუტერული პროგრამებით მუშაობა (მაგ. photoshop, coreldraw) • შეუძლია მარტივი არითმეტიკული გამოთვლა
4	ფარდაგის, ხალიჩის, გობელენის ქსოვა	<ul style="list-style-type: none"> • იცის ხატვის ტექნიკა • იცის ფერმცოდნეობის ზოგადი საკითხები • იცის მასლათმცოდნეობა • იცის საღებავების კლასიფიკაცია • იცის როგორც ბუნებრივი, ისე ქიმიური საღებავებით ღებვის ტექნოლოგია • იცნობს ღებვის დროს უსაფრთხოების ნორმებს • იცის ნართის ნომრის კლასიფიკაცია • იცის ვერტიკალური საქსოვი დაზგის გაწყობის თანმიმდევრობა • იცის ქსოვისათვის საჭირო ინსტრუმენტების დანიშნულება • იცის ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზე სხვადასხვა 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია მასალაში შესასრულებელი ესკიზის შერჩევა • შეუძლია საქსოვი დაზგის გაწყობა • შეუძლია დაზგის გამართულობის შეფასება • შეუძლია მუშაობისათვის საჭირო ინსტრუმენტების შერჩევა • შეუძლია განასხვაოს სამუშაო მასალა ხარისხის, წარმოშობისა და ქიმიური შემადგენლობის მიხედვით • შეუძლია ნართის ნომრის განსაზღვრა • შეუძლია ნართის სტრუქტურის განსაზღვრა • შეუძლია ქსოვის სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესის წარმართვა

		<ul style="list-style-type: none"> • ხლართის მიღების წესი • იცის მარყუჟის სისქეები • იცის მასალაში მუშაობის თანმიმდევრობა და სირთულე • იცის ნამუშევრის ხარისხობრივი მახასიათებლები • იცის ქსოვილების კლასიფიკაცია • იცის მარტივი არითმეტიკული მოქმედებების წესი 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია მუშაობის ხარისხის შეფასება • შეუძლია ქსოვის პროცესში წარმოქმნილი ტექნოლოგიური პრობლემების აღმოფხვრა • შეუძლია ღებვის დროს სასურველი ფერის მიღება • შეუძლია ღებვა როგორც ქიმიური, ისე ბუნებრივი საღებავებით • შეუძლია კერვა • შეუძლია მარტივი არითმეტიკული გამოთვლა • შეუძლია დაზიანებული ქსოვილის რესტავრაცია • შეუძლია მარტივი არითმეტიკული გამოთვლა
5	დაქვილთვა	<ul style="list-style-type: none"> • იცის მასალათმცოდნეობა • იცის ფერმცოდნეობის ზოგადი საკითხები • იცის ქსოვილის კლასიფიკაცია • იცის მუშაობისათვის საჭირო მასალის რაოდენობის შერჩევის წესი • იცის ქვილთის კერვის ტექნოლოგია როგორც ხელით, ისე მანქანური წესით • იცის მასალაში მუშაობის თანმიმდევრობა და სირთულე 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ხატვა • შეუძლია მასალაში შესასრულებელი ესკიზის შერჩევა • შეუძლია ქსოვილის კლასიფიკაცია • შეუძლია ქსოვილის დანიშნულების მიხედვით შერჩევა • შეუძლია ნამუშევრის მასშტაბის შერჩევა • შეუძლია სხვადასხვა ხელსაწყოთი მუშაობა • შეუძლია მასალის რაციონალურად გამოყენება • შეუძლია მუშაობის დროს სიზუსტის დაცვა • შეუძლია კერვა როგორც ხელით, ისე მანქანური წესით • შეუძლია ხელით ქარგვა • შეუძლია დაზიანებული ქსოვილის რესტავრაცია • შეუძლია ნებისმიერი სირთულის სამუშაოს შესრულება
6	ქსოვილის მხატვრული დამუშავება, შიბორი, ბატყა, დაჩითვა)	<ul style="list-style-type: none"> • იცის კომპოზიციის საფუძვლები • იცის ფერმცოდნეობის ზოგადი საკითხები • იცის ქსოვილის კლასიფიკაცია • იცის ქსოვილის დამუშავების ტექნოლოგია 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია მასალაში შესასრულებელი კომპოზიციის შერჩევა • შეუძლია სამუშაო ქსოვილის შერჩევა • შეუძლია ღებვა როგორც ბუნებრივი, ასევე ქიმიური

		<ul style="list-style-type: none"> • იცის საღებავების კლასიფიკაცია და ნომენკლატურა • იცის ბატიკის ცივი და ცხელი ტექნიკით მოხატვის წესები • იცის ქსოვილის ღებვის ტექნოლოგია • იცის ქსოვილის ხელით დაჩითვის წესი • იცის ქსოვილის დაჩითვის ფოტოფილმზეჭდვის წესი • იცის უსაფრთხოების ნორმები 	<p>საღებავებით</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ქსოვილზე ხატვა (ბატიკა) • შეუძლია სპეციალური ხელსაწყოების გამოყენება • შეუძლია საჩითავი ყალიბის ნახატის მიხედვით შერჩევა • შეუძლია დაჩითული ქსოვილის ხარისხის შეფასება • შეუძლია ქსოვილის ფერისა და ფორმის დაფიქსირება • შეუძლია სხვადასხვა ქსოვილის სტანდარტის მიხედვით გარეცხვა • შეუძლია კერვა • შეუძლია მუშაობისას უსაფრთხოებს ნორმების დაცვა
7	თექის მოთელვა	<ul style="list-style-type: none"> • იცის მასალათმცოდნეობა • იცის მატყლის ბოჭკოს დამუშავების ტექნოლოგია • იცის მატყლის ბოჭკოს ღებვის ტექნოლოგია • იცის ფერმცოდნეობის ზოგადი საკითხები • იცის მატყლის დაფენის წესი • იცის მატყლის კომპოზიციის მიხედვით დაფენის წესი • იცის სათელავი მანქანის გამოყენების წესები • იცის თელვის თანმიმდევრობა • იცის თექის ქსოვილის რეცხვისა და დამუშავების ტექნოლოგია • იცის თექის ქსოვილის ნაწიბურების დამუშავების ტექნოლოგია • იცის თექის ქსოვილის რესტავრაციის წესი • იცის თექის ქსოვილის დაზიანებისგან დაცვის წესი • იცის მუშაობის დროს უსაფრთხოების ნორმები 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია მატყლის ხარისხის მიხედვით შერჩევა • შეუძლია ნამუშევრის დანიშნულების განსაზღვრა • შეუძლია მატყლის ბოჭკოს დამუშავება • შეუძლია მატყლის ბოჭკოს კლასიფიკაცია • შეუძლია მატყლის ბოჭკოს ღებვა როგორც ბუნებრივი, ისე ქიმიური საღებავებით • შეუძლია თელვის დროს ნახატის სიმეტრიის დაცვა • შეუძლია როგორც მცირე, ისე დიდი მასშტაბის ქსოვილის მოთელვა • შეუძლია თექის ტექნოლოგიური დამუშავება • შეუძლია დაზიანებული თექის ქსოვილის რესტავრაცია • შეუძლია კერვა • შეუძლია მუშაობის თანმიმდევრობის დაცვა
8	ტრიკოტაჟის ქსოვილის შექმნა	<ul style="list-style-type: none"> • იცის ტრიკოტაჟის ქსოვის სხვადასხვა მეთოდი • იცის ნართის კლასიფიკაცია • იცის ხლართის სახის აგების თანმიმდევრობა • იცის ფერმცოდნეობის ზოგადი საკითხები 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ნართის ნომრის მიხედვით შერჩევა • შეუძლია ნართის ფერისა და დამხმარე მასალის მართებულად შერჩევა • შეუძლია ნართის გადახვევის მართებულად და

		<ul style="list-style-type: none"> • იცის მანქანის მართებულად გაწყობის წესები • იცის ტრიკოტაჟის საქსოვ მანქანასთან უსაფრთხოდ მუშაობის წესები 	<ul style="list-style-type: none"> • უსაფრთხოდ წარმართვა • შეუძლია ნართის პარაფინირების მართებულად წარმართვა • შეუძლია ტრიკოტაჟული ხლართის მართებულად აგება • შეუძლია ტრიკოტაჟის საქსოვი მანქანის სტანდარტის მიხედვით გაწყობა • შეუძლია ტრიკოტაჟის ქსოვილის მართებულადდა უსაფრთხოდ მოქსოვა
9	პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა	<ul style="list-style-type: none"> • იცის მასალათმცოდნეობა • იცის ფერმცოდნეობის ზოგადი საკითხები • იცის ქსოვილების ისტორიის ზოგადი საკითხები • იცის უცხოური ენა • იცის პრეზენტაციის მეთოდები 	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია მასალის მოძიება როგორც სახელმწიფო, ისე უცხოურ ენაზე • შეუძლია ახალი მასალის ათვისება • შეუძლია გუნდური მუშაობა • შეუძლია კომუნიკაცია უცხოურ ენაზე • შეუძლია ნამუშევრის შერჩევა ექსპოზიციისთვის • შეუძლია საკუთარი ნამუშევრის პრეზენტაცია.

15. სტანდარტის მოქმედების ვადა:
5 წელი.

პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრები:

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია, პოზიცია
1	დიმიტრი არინდაული	შპს „მატყლის გადამამუშავებელი საწარმო „თუშეთი“
2	ჟანა ხუციშვილი	ა(ა)იპ-კავშირი „ნაფარეული“
3	ქეთევან გაგნიძე	შპს „ქართული თექა“
4	ანა ჩუბინიძე	ა(ა)იპ-თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
5	თინა დათაშვილი	არასამთავრობო ორგანიზაცია „ფშავური სახლი“
6	ია კვიციანი	სათემო ორგანიზაცია „ნუკრიანის“ სოციალური საწარმო „ნუკრიანის სახელოსნოები“
7	ლილი მურთაზაშვილი	ინდივიდუალური მეწარმე „ფარდაგი“
8	ნინო ბახუტაშვილი	შპს „ფესვები“
9	ნატო როსტომაშვილი	ა(ა)იპ-ინვალიდთა სოციალური დახმარების ფონდი „ახალი სიცოცხლე“
10	ნინო გზირიშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ექსპერტ-ფასილიტატორი
11	ნინო ქვრივიშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ექსპერტ-ფასილიტატორი

შეფასების სტანდარტი

პროფესიის დასახელება: დეკორატიულ გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი

ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია

სტანდარტი გამოიყენება ფორმალური განათლებისა და/ან არაფორმალური განათლების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების აღიარების მიზნით.

შეფასების სტანდარტი ეფუძნება კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტს. ის განსაზღვრავს სტანდარტში ასახული პროფესიული ცოდნისა და უნარების შეფასებისა და დადასტურების აუცილებელ პირობებს: 1. შესაფასებელ კომპეტენციებს, რომლებიც გამოხატულია პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების ტერმინებში; 2. კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმებს, რომლებშიც ასახულია აუცილებელი პროფესიული ცოდნა და უნარები; 3. კომპეტენციების დადასტურებისათვის გამოყენებულ მტკიცებულებებს.

შეფასების სტანდარტი განსაზღვრავს შეფასების პროცესის განხორციელების მიდგომებს.

ფორმალურ განათლებაში სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია სავალდებულო პროფესიულ მოდულებში.

არაფორმალური განათლების აღიარების მიზნებისათვის გამოიყენება წინამდებარე დოკუმენტის მესამე ნაწილში (ნაწილი 3. შეფასების პროცესი და კომპონენტები) აღწერილი პროცედურები. შედეგები აისახება თანდართულ ფორმებში, რომლებიც დანართის სახით ახლავს დოკუმენტს.

ნაწილი 2. შეფასების კრიტერიუმები

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
პროფესიული მოვალეობა 1: სამუშაო პროექტის შემუშავება	
1.1 ქმნის სამუშაო ჯგუფს	1.1.1 სწორად განსაზღვრავს სამუშაოს შემსრულებელ პირებს და მათ რაოდენობას სამუშაოს სირთულიდან და შესრულების ვადებიდან გამომდინარე
1.2 ურთიერთობს პოტენციურ მომხმარებელთან	1.2.1 ათანხმებს დამკვეთთან ნამუშევრის დეტალებს და შესრულების ვადებს ინსტრუქციის მიხედვით
1.3 ამზადებს საჩვენებელ ნიმუშებს	1.3.1 მეთოდის დაცვით და განსხვავებული მასალის გამოყენებით ამზადებს პროდუქტის საჩვენებელი ნიმუშის

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
	სხვადასხვა ვარიანტს 1.3.2 ამზადებს საჩვენებელ ნიმუშს მეთოდის მიხედვით კომპიუტერული პროგრამის დახმარებით
1.4 საბოლოოდ უთანხმდება დამკვეთს	1.4.1 სწორად აფიქსირებს დამკვეთის მოთხოვნებს ჩანაწერის, ჩანახატის სახით
პროფესიული მოვალეობა 2: სამუშაო გარემოს მოწყობა	
2.1 ირჩევს სამუშაო ფართობს	2.1.1 სწორად ირჩევს სამუშაო ფართს შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით 2.1.2 ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების წესებს ინსტრუქციის მიხედვით
2.2 წარმოებისათვის შეარჩევს შესაბამის ინფრასტრუქტურას	2.2.1 სახელოსნოს სამუშაოდან გამომდინარე სწორად ახდენს მანქანა დანადგარების და დამატებითი ინვენტარის შერჩევას
2.3 იმარაგებს საჭირო ნედლეულსა და მასალას	2.3.1 სწორად განსაზღვრავს საჭირო ნედლეულისა და სხვა დამატებითი მასალების სახეობას, მათ რაოდენობას და მომარაგების სიხშირეს
2.4 ასრულებს დადგენილ შინაგანაწესს	2.4.1 ზუსტად იცავს სახელოსნოში არსებულ წესებს
პროფესიული მოვალეობა 3: კომპოზიციის შექმნა	
3.1 აგებს კომპოზიციას როგორც თავისუფალ, ისე მოცემულ თემაზე	3.1.1 ინსტრუქციის მიხედვით აგებს მარტივ გეომეტრიულ კომპოზიციებს სხვადასხვა გრაფიკული საშუალებების გამოყენებით 3.1.2 სწორად აგებს სხვადასხვა ტიპის ორნამენტულ კომპოზიციას თავისუფალ თემაზე 3.1.3 დეტალურად განმარტავს კომპოზიციის აგების ძირითად კანონებს/მახასიათებლებს 3.1.4 სწორად დაასახელებს კომპოზიციის ძირითად გამომსახველობით საშუალებებს
3.2 შეარჩევს ფერთა პალიტრას	3.2.1 სწორად განსხვავებს ქრომატულ და აქრომატულ, ცივ და თბილ ფერებს 3.2.3 აგებს კომპოზიციებს ფერში კომპოზიციის აგების ძირითადი კანონებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით
3.3 აზუსტებს ნამუშევრის მასშტაბს	3.3.1 დამკვეთის მოთხოვნის მიხედვით აზუსტებს ნამუშევრის ზომას
3.4 კითხულობს ორნამენტს	3.4.1 სწორად ჩამოთვლის ორნამენტის ტიპებს
3.5 ამზადებს ასლებს	3.5.1 სწორად გადააქვს ესკიზის ასლი პერგამენტის დახმარებით გადასატანი ნიმუშის ფერის, ზომის, ფორმის და შესრულების მანერის დაცვით
3.6. ამზადებს შაბლონს	3.6.1 ზუსტი პროპორციების შენარჩუნებით სწორად ამზადებს შაბლონს 3.6.2 სწორად ამზადებს შაბლონს კომპიუტერული პროგრამის დახმარებით
პროფესიული მოვალეობა 4: ფარდაგის, ხალიჩის, გობელენის ქსოვა	
4.1 არჩევს ესკიზს მასალაში შესასრულებლად	4.1.1 ზუსტად შეარჩევს ესკიზს დამკვეთის მოთხოვნის და მასალაში შესასრულებელი სირთულის მიხედვით 4.1.2 ასრულებს ფარდაგის, ხალიჩის, გობელენის ესკიზის ჩანახატებს სტანდარტის მიხედვით
4.2 არჩევს სამუშაო მასალას	4.2.1 სწორად არჩევს მასალას ნამუშევრის დანიშნულების და დამკვეთის მოთხოვნის მიხედვით
4.3 აზუსტებს ქსელისა და მისაქსელის	4.3.1 აზუსტებს ქსელისა და მისაქსელის სიმჭიდროვეს

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
სიმჭიდროვეს	ნამუშევრის დანიშნულების, ნართის ნომრისა და სტრუქტურის მიხედვით
4.4 აწყოფს საქსოვ დაზგას	4.4.1 ქსელავს საქსოვ დაზგას ინსტრუქციის მიხედვით 4.4.2 სწორად ჩამოთვლის დაზგის გაწყოფის ეტაპებს
4.5 ლებავს ნართს	4.5.1 სწორად ირჩევს ნართსა და სალებავებს კომპოზიციის მიხედვით 4.5.2 ლებავს ნართს, როგორც ქიმიური, ისე ბუნებრივი სალებავებით, ლებვის წესების და უსაფრთხოების ნორმების დაცვით 4.5.3 სწორად ახდენს ნართისა და სალებავების კლასიფიკაციას
4.6 ქსოვს	4.6.1 სწორად აღწერს ფარდაგის, ხალიჩის და გობელენის ქსოვის ტექნოლოგიურ პროცესს 4.6.2 ზუსტად ქსოვს ფარდაგს, ხალიჩას, ქსოვის ტექნოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით 4.6.3 ქსოვს კლასიკური და თანამედროვე გობელენის ქსოვის ტექნოლოგიური მეთოდების დაცვით
4.7 აკონტროლებს ნაქსოვის ხარისხს	4.7.1 აკონტროლებს ნაქსოვის ხარისხს (ნაქსოვის სიმჭიდროვე, ზედაპირის სისუფთავე, ნამუშევრის საწყის სქემასთან შესაბამისობა) ინსტრუქციის მიხედვით
4.8 ახდენს დაზიანებული ქსოვილის რესტავრაციას	4.8.1 ზუსტად აღადგენს დაზიანებულ ქსოვილს ფერის, ფორმის და სტრუქტურის დაცვით
პროფესიული მოვალეობა 5: დაქვილთვა	
5.1 არჩევს ესკიზს მასალაში შესასრულებლად	5.1.1 სწორად აღწერს ქვილთის ტექნიკის თავისებურებებს 5.1.2 სწორად შეარჩევს ესკიზს დაქვლითვისათვის საწყისი მოცემულობის და მასალაში შესასრულებელი სირთულის მიხედვით
5.2 არჩევს ქსოვილს	5.2.1 სწორად შეარჩევს ქსოვილს და დამხმარე საშუალებებს (მაფი ნომრისა და სისქის მიხედვით) ნაკეთობის დანიშნულებიდან გამომდინარე ხარისხისა და ფერის მიხედვით
5.3 არჩევს ნამუშევრის ზომას	5.3.1 სწორად განსაზღვრავს ნამუშევრის ზომებს ესკიზის და დანიშნულების მიხედვით 5.3.2 ზუსტად განსაზღვრავს განსაზღვრავს დაქვლითვისათვის საჭირო მასალის რაოდენობას 5.3.3 აგებს კომპოზიციას ქვილთის ტექნიკის გათვალისწინებით 5.3.4 სწორად გადააქვს ესკიზი შაბლონზე დაქვილთვისათვის
5.4 ჭრის ქსოვილს	5.4.1 რაციონალურად ანაწევრებს ქსოვილს ხელსაწყოს გამოყენებით 5.4.2 ქსოვილის (ქსოვილი, თბილი ფენა (ვატინა), სარჩული) გამოჭრისას იცავს ზუსტ ზომებს ნამატის გათვალისწინებით
5.5 კერავს	5.5.1 სწორად კერავს ხელით და მანქანით უსაფრთხოების წესების დაცვით. 5.5.2 წესის დაცვით ასრულებს ქსოვილის რამოდენიმე დაკავშირებული ფენის დამუშავებას ხელის ან მანქანური გვირისტით
5.6 ქარგავს	5.6.1 ქარგავს ნაკეთობას ხელით, მანქანით, შერჩეული ესკიზის მიხედვით 5.6.2 სწორად აფორმებს ნაკეთობას სხვადასხვა ხერხებით და

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
	მასალით
5.7 ახდენს დაზიანებული ქსოვილის რესტავრაციას	5.7.1 სწორად აკერებს ახალ დეტალს (იდენტური ან განსხვავებული ქსოვილი) დაზიანებულ ადგილას დაზიანებულ დეტალის მოხსნის შემდეგ
პროფესიული მოვალეობა 6: ქსოვილის მხატვრული დამუშავება (შიბორი, ბატიკა, ქსოვილის დაჩითვა)	
6.1 არჩევს კომპოზიციასა და ქსოვილს	6.1.1 სწორად აღწერს მხატვრული დამუშავებისათვის საჭირო მასალასა და ხერხებს 6.1.2 არჩევს კომპოზიციას და კომპოზიციისთვის შესაფერის ქსოვილს მხატვრული დამუშავებისათვის (შიბორი, ბატიკა, ქსოვილის დაჩითვა) ნამუშევრის დანიშნულების მიხედვით 6.1.3 სწორად ირჩევს დამხმარე მასალებს და ხელსაწყოებს ქსოვილზე მხატვრული ეფექტების მისაღებად
6.2 ღებავს ქსოვილს	6.2.1 აღწერს როგორც ბუნებრივი ასევე ქიმიური საღებავებით ქსოვილის ღებვის წესებს 6.2.2 სწორად ამზადებს ქსოვილს ღებვისათვის (რეცხვა, სახამებლის მოცილება) 6.2.3 ღებავს ქსოვილს ფერისა და ფორმის დაფიქსირების წესების დაცვით 6.2.4 სწორად იყენებს ღებვის საშუალებით ქსოვილზე მხატვრული ეფექტების მიღების ხერხებს (გაკვანძვა, დაკეცვა, დახვევა)
6.3 ხატავს ქსოვილზე (ბატიკა)	6.3.1 სწორად აღწერს ბატიკის ტექნოლოგიური პროცესის თანმიმდევრობასა და თავისებურებებს 6.3.2 სწორად ჩამოთვლის ბატიკის მხატვრული ქსოვილის დასამზადებლად საჭირო მასალასა და ხელსაწყოებს 6.3.3 აღწერს ცივი და ცხელი მეთოდით ქსოვილის მოხატვის ტექნოლოგიურ თანმიმდევრობას 6.3.4 ცივი და ცხელი ბატიკის ტექნიკის გათვალისწინებით ასრულებს ესკიზს ფერში 6.3.5 სწორად აფორმებს მოხატულ ნამუშევარს საბოლოო სახის მისაცემად
6.4 ჩითავს ქსოვილს (ბეჭდავს ქსოვილზე)	6.4.1 აღწერს ქსოვილის დაჩითვის მეთოდებს 6.4.2 სწორად ჩამოთვლის ჩითვის სახეებს, დაჩითვის ხერხებს, ქსოვილის დაჩითვისათვის საჭირო მასალას ნაწარმის დანიშნულებიდან გამომდინარე 6.4.3 სწორად ჩამოთვლის დასაჩით კომპოზიციამში შემავალ დამხმარე ქიმიკატებს საჭიროების მიხედვით 6.4.4 აღწერს საჩითავი ხსნარის მომზადების წესებს 6.4.5 დაჩითვის კომპოზიციისათვის ამზადებს საღებავს, საღებავის შემასქელებლებს და საბეჭდ ფორმას, ინსტრუქციის მიხედვით 6.4.6 ზუსტად იცავს საჩითავი კომპოზიციების დამზადებისათვის საჭირო რეცეპტის შემადგენლობას და პროპორციებს
6.5 აფიქსირებს ქსოვილის ფორმასა და ფერს	6.5.1 ქსოვილის ფერისა და ფორმის დაფიქსირების დროს ითვალისწინებს ქსოვილის ტექნოლოგიურ შემადგენლობას და შეორთქლების წესებს
6.6 რეცხავს	6.6.1 რეცხავს ქსოვილს გამდინარე წყლით და ქსოვილის მხატვრული დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
	დაცვით
პროფესიული მოვალეობა 7: თექის მოთელვა	
7.1 განსაზღვრავს ნამუშევრის დანიშნულებას	7.1.1 მატყლის სახეობიდან გამომდინარე სწორად აღწერს ნამუშევრის სახეებს
7.2 ახარისხებს მატყლს	7.2.1 სწორად არჩევს დაუზიანებელი შალის ბოჭკოს მახასიათებლების (კლავნილობა, სიმტკიცე, სიგრძე) მიხედვით 7.2.2 ზუსტად არჩევს მატყლს წლის პერიოდის და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით
7.3 ამუშავებს მატყლს	7.3.1 ჩეჩავს მატყლს ხელით ან დანადგარით ფერების მიხედვით 7.3.2 რეცხავს მატყლს გამდინარე წყლით ქიმიური დანამატების გარეშე
7.4 ღებავს მატყლს	7.4.1 ჩამოთვლის მატყლის ღებვის მეთოდებს და საშუალებებს 7.4.2 ზუსტად იცავს მატყლის ღებვის ტექნოლოგიურ წესებს და უსაფრთხოების ნორმებს
7.5 აფენს მატყლს	7.5.1 აფენს მატყლს კომპოზიციის და სისქის მიხედვით სტანდარტის დაცვით
7.6 თელავს	7.6.1 სწორად აღწერს მატყლის თელვის ტექნოლოგიურ მეთოდებს და მატყლის ქსოვილის ხარისხის კონტროლის გზებს 7.6.2 თელავს მატყლს სათელავი დაზვით და ხელით ინსტრუქციის მიხედვით
7.7 აძლევს ნამუშევარს საბოლოო სახეს	7.7.1 იცავს თექის სწორად რეცხვის წესებს 7.7.2 აუთოვებს თექის ქსოვილს ტემპერატურული რეჟიმის დაცვით 7.7.3 ამუშავებს თექის ქსოვილის ნაწიბურებს
7.8 ახდენს დაზიანებული ქსოვილის რესტავრაციას	7.8.1 თექის ქსოვილის დაზიანებულ ადგილს თელავს ჯერ მშრალი შემდეგ სველი წესით 7.8.2 სწორად აღწერს თექის ქსოვილის მწერებისგან დაცვის საშუალებებს
პროფესიული მოვალეობა 8: პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა	
8.1 ეცნობა ორგანიზაციის სტრუქტურასა და საკუთარ უფლება-მოვალეობებს	8.1.1 აღწერს ორგანიზაციის სტრუქტურას და საქმიანობის არეალს 8.1.2 საჭიროებისამებრ იყენებს ორგანიზაციაში მნიშვნელოვან საკონტაქტო ინფორმაციას 8.1.3 იცავს კორპორაციული ეთიკის წესებს 8.1.4 განმარტავს კორპორაციული კულტურის, ეთიკის ნორმებს 8.1.5 განმარტავს ინდივიდუალური შრომითი კონტრაქტის პირობებს 8.1.6 ჩამოთვლის საქართველოს შრომის კოდექსის მნიშვნელოვან პუნქტებს
8.2 აფასებს საკუთარ კომპეტენციებს, ცოდნასა და უნარებს	8.2.1 ობიექტურად აფასებს საკუთარ კომპეტენციებს 8.2.2 მოიძიებს ინფორმაციას შეფასების ღონისძიებების შესახებ (ტესტირება, სასერტიფიკატო გამოცდები და ა.შ.) კომპეტენციების დადასტურების მიზნით 8.2.3 ახდენს კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების

პროფესიული ამოცანა	შეფასების კრიტერიუმები
	გაუმჯობესების სფეროების იდენტიფიკაციას და დოკუმენტირებას
8.3 გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას	8.3.1 აღწერს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობებს, საჭირო კომპეტენციებს და მათი გაუმჯობესების გზებს 8.3.2 გეგმავს იდენტიფიცირებული კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების გზებს არაფორმალური განათლების მიღების, პროფესიული ტრენინგების საშუალებით
8.4 ეცნობა პროფესიულ სიახლეებს	8.4.1 ეცნობა პროფესიულ სიახლეებს ინტერნეტ რესურსების საშუალებით 8.4.2 მოიძიებს ინფორმაციას პროფესიული გაერთიანებების შესახებ 8.4.3 აღწერს პროფესიული ლიტერატურის საშუალებით მოძიებულ სიახლეებს 8.4.4 ეცნობა საერთაშორისო სიახლეებს სურსათის ხარისხის კონტროლის მეთოდების შესახებ
8.5 ერთვება პროფესიული განვითარების ღონისძიებებში	8.5.1 მოიძიებს ინფორმაციას პროფესიული განვითარების ღონისძიებების, კონფერენციებისა და სემინარების შესახებ მათში მონაწილეობისათვის 8.5.2 იმაღლებს კვალიფიკაციას სპეციალურ ონლაინ ტრენინგებში 8.5.3 განმარტავს საკუთარ მოსაზრებებს კომპანიის შემდგომი განვითარების შესაძლებლობების შესახებ
8.6 ახდენს სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზებას	8.6.1 ობიექტურად აფასებს სამუშაო ადგილს და სამუშაო პროცესს 8.6.2 განმარტავს სამუშაო ადგილის და სამუშაო პროცესის ორგანიზების გაუმჯობესების წინადადებებს საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში 8.6.3 მოიძიებს ინტერნეტ რესურსების საშუალებით სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზების საუკეთესო მაგალითებს გუნდში გაზიარებისათვის
8.7 აფასებს შესრულებულ სამუშაოს	8.7.1 აფასებს შესრულებული სამუშაოს ხარისხს 8.7.2 აფასებს შესრულებული სამუშაოსათვის განსაზღვრულ დროს 8.7.3 ახდენს შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების საშუალებების იდენტიფიცირებას 8.7.4 განახორციელებს ცვლილებებს სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით 8.7.5 აღწერს შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების საშუალებებს და გზებს 8.7.6 ახდენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესების მახასიათებლების დოკუმენტირებას და გუნდში პრეზენტაციას

ნაწილი 3. შეფასების პროცესი და კომპონენტები

1. გამოკითხვა

ინსტრუქცია შესაფასებელი პირისთვის	შეფასების პროცესი
<p>შესაფასებელი პირი ეცნობა გამოკითხვის პროცედურას; პასუხს სცემს შეკითხვებს შეფასებისათვის დადგენილი დროითი რეგლამენტის დაცვით.</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. შესაფასებელი პირის გამოკითხვა ხორციელდება ტესტის ან/და ზეპირი შეკითხვების სახით; 2. ტესტი შესაძლოა მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის შეკითხვებს; 3. გამოკითხვისათვის მაქსიმალური დროა 2 საათი; 4. შესაძლოა შემფასებელმა მოითხოვოს შესაფასებელი პირის მიერ მომზადებული პასუხის არგუმენტირება, რისთვისაც შეფასების დროის ზემოთ დამატებით გამოიყოფა არაუმეტეს 15 წუთისა. 5. გამოკითხვა ტარდება ნებისმიერ აუდიტორიაში ან ოთახში, რომელიც აღჭურვილია მაგიდებით და სკამებით გამოსაკითხი პირების ინდივიდუალური მუშაობის უზრუნველსაყოფად; 6. არსებითია გამოკითხვის პროცესზე შემფასებლის მიერ ზედამხედველობის განხორციელება. 7. მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შესაფასებლის მიერ მომზადებული წერილობითი ნაშრომით და/ან შემფასებლის მიერ შევსებული ჩანაწერების ფორმებით (იხ. დანართი 1).

2. პროცესზე დაკვირვება

ინსტრუქცია შესაფასებელი პირისთვის	შეფასების პროცესი
<p>შესაფასებელი პირი ასრულებს შემფასებლის მიერ მიცემულ დავალებებს, რაც შეფასების სტანდარტით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უნარების დადასტურების საშუალებას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში დამოუკიდებლად არჩევს საჭირო ინსტრუმენტებს, მოწყობილობებს, მასალებს.</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. შეფასება უნდა განხორციელდეს რეალურ სამუშაო გარემოში; 2. შეფასება მოიცავს 2 ტიპის დავალებას: <ul style="list-style-type: none"> ა) სამუშაო გარემოს მოწყობა (30 წთ); ბ) მატყლის დებვა (2 საათი) 3. შემფასებლის მიერ დამატებითი კითხვების დასმის შემთხვევაში შესაფასებელი პასუხობს მათ და საჭიროების შემთხვევაში ახდენს საკუთარი ქმედების/ გადაწყვეტილების არგუმენტირებას. 4. მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შემფასებლის მიერ შევსებული ჩანაწერების ფორმებით (იხ. დანართი 1).

3. პროდუქტის/შედეგის შეფასება

ინსტრუქცია შესაფასებელი პირისთვის	შეფასების პროცესი
<p>შესაფასებელ პირს შემფასებლის მიერ ეძლევა დავალებები, რაც უნდა შეასრულოს</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. შეფასება უნდა განხორციელდეს რეალურ სამუშაო გარემოში. 2. შეფასება მოიცავს 6 ტიპის დავალებას:

<p>დამოუკიდებლად და წარმოადგინოს შექმნილი მტკიცებულებები სტანდარტით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადასტურებისათვის.</p>	<p>ა) სამუშაო პროექტის შემუშავება (1 საათი); ბ) კომპოზიციის/ესკიზის (ფარდაგი, ხალიჩა, გობელენი, ქსოვილის მხატვრული დამუშავება, დაქვილთვა, თექა) შექმნა (თვითოეული - 1 სთ); გ) ფარდაგის, ხალიჩის, გობელენის ქსოვა (6 საათი). დ) დაქვილთვა (6 საათი). ე) ქსოვილის მხატვრული დამუშავება (შიბორი, ბატიკა, ქსოვილის დაჩითვა) (6 საათი). ვ) თექის მოთელვა (6 საათი).</p> <p>3. შემფასებლის მიერ დამატებითი კითხვების დასმის შემთხვევაში შესაფასებელი პასუხობს მათ და საჭიროების შემთხვევაში ახდენს საკუთარი ქმედების/ გადაწყვეტილების არგუმენტირებას.</p> <p>4. მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შესაფასებლის მიერ დავალების შესრულების პროცესში შექმნილი პროდუქტით და შემფასებლის მიერ შევსებულ ჩანაწერების ფორმებით (იხ. დანართი 1).</p>
---	---

ნაწილი 4. მითითებები შემფასებლისათვის

შეფასების დაწყებამდე:

გაეცანით:

- პროფესიულ სტანდარტს;
- კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების პრინციპებს;
- შეფასების კრიტერიუმებს;
- შეფასების ინსტრუმენტებს;
- შეფასების ორგანიზების თავისებურებებს;
- შემფასებლის ჩანაწერების ფორმებს.

შეფასების პროცესში:

- პირადად დააკვირდით დავალებების შესრულების/შეფასების პროცესს;
- თითოეული შესაფასებლისათვის აწარმოეთ შეფასების ჩანაწერების ფორმები;
- თუ აუცილებელია შესაფასებელს დაუსვით დამატებითი შეკითხვები დავალებასთან დაკავშირებით;
- შეაფასეთ თითოეული შესრულების კრიტერიუმი;

შეფასების დასრულებისას:

- შესაფასებელს მიეცით განმარტება შეფასებასთან დაკავშირებით;
- შეაჯამეთ შეფასების შედეგები;
- დაადასტურეთ შეფასების შედეგები ხელმოწერით;
- შეფასების ჩანაწერები გადაეცით სათანადოდ უფლებამოსილ პირს.

შემფასებლის ჩანაწერების ფორმები

1. გამოკითხვა

შესაფასებელი პირის სახელი, გვარი:

შეფასების თარიღი:

შეფასების ადგილი:

შემფასებლის სახელი, გვარი:

შეფასების კრიტერიუმი:		შეფასება	
		დადასტურდა	არ დადასტურდა
3.1.3.	დეტალურად განმარტავს კომპოზიციის აგების ძირითად კანონებს/მახასიათებლებს		
3.1.4.	სწორად დაასახელებს კომპოზიციის ძირითად გამომსახველობით საშუალებებს		
3.2.1.	სწორად განასხვავებს ქრომატულ და აქრომატულ, ცივ და თბილ ფერებს		
3.3.1.	დამკვეთის მოთხოვნის მიხედვით აზუსტებს ნამუშევრის ზომას		
3.4.1.	სწორად ჩამოთვლის ორნამენტის ტიპებს		
4.4.2.	სწორად ჩამოთვლის დაზვის გაწყობის ეტაპებს		
4.5.3.	სწორად ახდენს ნართისა და საღებავების კლასიფიკაციას		
4.6.1.	სწორად აღწერს ფარდაგის, ხალიჩის და გობელენის ქსოვის ტექნოლოგიურ პროცესს		
5.1.1.	სწორად აღწერს ქვილთის ტექნიკის თავისებურებებს		
6.1.1.	სწორად აღწერს მხატვრული დამუშავებისათვის საჭირო მასალასა და ხერხებს		
6.2.1.	აღწერს როგორც ბუნებრივი ასევე ქიმიური საღებავებით ქსოვილის ღებვის წესებს		
6.3.1.	სწორად აღწერს ბატიკის ტექნოლოგიური პროცესის თანმიმდევრობასა და თავისებურებებს		
6.3.2.	სწორად ჩამოთვლის ბატიკის მხატვრული ქსოვილის დასამზადებლად საჭირო მასალასა და ხელსაწყოებს		
6.3.3.	აღწერს ცივი და ცხელი მეთოდით ქსოვილის მოხატვის ტექნოლოგიურ თანმიმდევრობას		
6.4.1.	აღწერს ქსოვილის დაჩითვის მეთოდებს		
6.4.2.	სწორად ჩამოთვლის ჩითვის სახეებს, დაჩითვის ხერხებს, ქსოვილის დაჩითვისათვის საჭირო მასალას ნაწარმის დანიშნულებიდან გამომდინარე		
6.4.3.	სწორად ჩამოთვლის დასაჩით კომპოზიციაში შემავალ დამხმარე ქიმიკატებს საჭიროების მიხედვით		
6.4.4.	აღწერს საჩითავი ხსნარის მომზადების წესებს		
7.1.1.	მატყლის სახეობიდან გამომდინარე სწორად აღწერს ნამუშევრის სახეებს		
7.4.1.	ჩამოთვლის მატყლის ღებვის მეთოდებს და საშუალებებს		
7.6.1.	სწორად აღწერს მატყლის თელვის ტექნოლოგიურ მეთოდებს და მატყლის ქსოვილის ხარისხის კონტროლის გზებს		
7.8.2.	სწორად აღწერს თექის ქსოვილის მწერებისგან დაცვის საშუალებებს		
8.1.1.	აღწერს ორგანიზაციის სტრუქტურას და საქმიანობის		

	არეალს		
8.1.4.	განმარტავს კორპორაციული კულტურის, ეთიკის ნორმებს		
8.1.5.	განმარტავს ინდივიდუალური შრომითი კონტრაქტის პირობებს		
8.1.6.	ჩამოთვლის საქართველოს შრომის კოდექსის მნიშვნელოვან პუნქტებს		
8.3.1.	აღწერს უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობებს, საჭირო კომპეტენციებს და მათი გაუმჯობესების გზებს		
8.4.3.	აღწერს პროფესიული ლიტერატურის საშუალებით მოძიებულ სიახლეებს		
8.5.3.	განმარტავს საკუთარ მოსაზრებებს კომპანიის შემდგომი განვითარების შესაძლებლობების შესახებ		
8.6.2.	განმარტავს სამუშაო ადგილის და სამუშაო პროცესის ორგანიზების გაუმჯობესების წინადადებებს საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში		
8.7.5.	აღწერს შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების საშუალებებს და გზებს		

შედეგი: დადასტურდა -----/ არ დადასტურდა -----

შემფასებლის კომენტარი (მათ შორის მტკიცებულებათა ჩამონათვალი):

დადასტურება:

2. პროცესზე დაკვირვება

შესაფასებელი პირის სახელი, გვარი:

შეფასების თარიღი:

შეფასების ადგილი:

შემფასებლის სახელი, გვარი:

შეფასების კრიტერიუმი:		შეფასება	
		დადასტურდა	არ დადასტურდა
1.1.1.	სწორად განსაზღვრავს სამუშაოს შემსრულებელ პირებს და მათ რაოდენობას სამუშაოს სირთულიდან და შესრულების ვადებიდან გამომდინარე		
1.2.1.	ათანხმებს დამკვეთთან ნამუშევრის დეტალებს და შესრულების ვადებს ინსტრუქციის მიხედვით		
2.1.1.	სწორად ირჩევს სამუშაო ფართს შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით		
2.1.2.	ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების წესებს ინსტრუქციის მიხედვით		

2.2.1.	სახელოსნოს სამუშაოდან გამომდინარე სწორად ახდენს მანქანა დანადგარების და დამატებითი ინვენტარის შერჩევას		
2.3.1.	სწორად განსაზღვრავს საჭირო ნედლეულისა და სხვა დამატებითი მასალების სახეობას, მათ რაოდენობას და მომარაგების სიხშირეს		
2.4.1.	ზუსტად იცავს სახელოსნოში არსებულ წესებს		
3.6.1.	ზუსტი პროპორციების შენარჩუნებით სწორად ამზადებს შაბლონს		
3.6.2	სწორად ამზადებს შაბლონს კომპიუტერული პროგრამის დახმარებით		
4.1.1	ზუსტად შეარჩევს ესკიზს დამკვეთის მოთხოვნის და მასალაში შესასრულებელი სირთულის მიხედვით		
4.2.1	სწორად არჩევს მასალას ნამუშევრის დანიშნულების და დამკვეთის მოთხოვნის მიხედვით		
4.3.1	აზუსტებს ქსელისა და მისაქსელის სიმჭიდროვეს ნამუშევრის დანიშნულების, ნართის ნომრისა და სტრუქტურის მიხედვით		
4.4.1	ქსელავს საქსოვ დაზგას ინსტრუქციის მიხედვით		
4.5.1	სწორად ირჩევს ნართსა და საღებავებს კომპოზიციის მიხედვით		
4.5.2	ღებავს ნართს, როგორც ქიმიური, ისე ბუნებრივი საღებავებით, ღებვის წესების და უსაფრთხოების ნორმების დაცვით		
4.7.1	აკონტროლებს ნაქსოვის ხარისხს (ნაქსოვის სიმჭიდროვე, ზედაპირის სისუფთავე, ნამუშევრის საწყის სქემასთან შესაბამისობა) ინსტრუქციის მიხედვით		
4.8.1	ზუსტად აღადგენს დაზინებულ ქსოვილს ფერის, ფორმის და სტრუქტურის დაცვით		
5.1.2	სწორად შეარჩევს ესკიზს დაქვლითვისათვის საწყისი მოცემულობის და მასალაში შესასრულებელი სირთულის მიხედვით		
5.2.1	სწორად შეარჩევს ქსოვილს და დამხმარე საშუალებებს (მაფი ნომრისა და სისქის მიხედვით) ნაკეთობის დანიშნულებიდან გამომდინარე ხარისხისა და ფერის მიხედვით		
5.3.1	სწორად განსაზღვრავს ნამუშევრის ზომებს ესკიზის და დანიშნულების მიხედვით		
5.3.2	ზუსტად განსაზღვრავს განსაზღვრავს დაქვლითვისათვის საჭირო მასალის რაოდენობას		
5.4.1	რაციონალურად ანაწევრებს ქსოვილს ხელსაწყოს გამოყენებით		
5.4.2	ქსოვილის (ქსოვილი, თბილი ფენა (ვატინა), სარჩული) გამოჭრისას იცავს ზუსტ ზომებს ნამატის გათვალისწინებით		
5.5.1	სწორად კერავს ხელით და მანქანით უსაფრთხოების წესების დაცვით.		
6.1.2	არჩევს კომპოზიციას და კომპოზიციისთვის შესაფერის ქსოვილს მხატვრული დამუშავებისათვის (შიბორი, ბატიკა, ქსოვილის დაჩითვა) ნამუშევრის დანიშნულების მიხედვით		
6.1.3	სწორად ირჩევს დამხმარე მასალებს და ხელსაწყობს		

	ქსოვილზე მხატვრული ეფექტების მისაღებად		
6.2.2	სწორად ამზადებს ქსოვილს ღებვისათვის (რეცხვა, სახამებლის მოცილება)		
6.2.4	სწორად იყენებს ღებვის საშუალებით ქსოვილზე მხატვრული ეფექტების მიღების ხერხებს (გაკვანძვა, დაკეცვა, დახვევა)		
6.6.1	რეცხავს ქსოვილს გამდინარე წყლით და ქსოვილის მხატვრული დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების დაცვით		
7.2.1	სწორად არჩევს დაუზიანებელი შალის ბოჭკოს მახასიათებლების (კლაკნილობა, სიმტკიცე, სიგრძე) მიხედვით		
7.2.2	ზუსტად არჩევს მატყლს წლის პერიოდის და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით		
7.3.1	ჩეჩავს მატყლს ხელით ან დანადგარით ფერების მიხედვით		
7.3.2	რეცხავს მატყლს გამდინარე წყლით ქიმიური დანამატების გარეშე		
7.4.2	ზუსტად იცავს მატყლის ღებვის ტექნოლოგიურ წესებს და უსაფრთხოების ნორმებს		
7.5.1	აფენს მატყლს კომპოზიციის და სისქის მიხედვით სტანდარტის დაცვით		
7.6.2	თელავს მატყლს სათელავი დაზვით და ხელით ინსტრუქციის მიხედვით		
7.7.1	იცავს თექის სწორად რეცხვის წესებს		
7.8.1	თექის ქსოვილის დაზიანებულ ადგილს თელავს ჯერ მშრალი შემდეგ სველი წესით		
8.1.2	საჭიროებისამებრ იყენებს ორგანიზაციაში მნიშვნელოვან საკონტაქტო ინფორმაციას		
8.1.3	იცავს კორპორაციული ეთიკის წესებს		
8.2.1	ობიექტურად აფასებს საკუთარ კომპეტენციებს		
8.2.2	მოიძიებს ინფორმაციას შეფასების ღონისძიებების შესახებ (ტესტირება, სასერტიფიკატო გამოცდები და ა.შ.) კომპეტენციების დადასტურების მიზნით		
8.3.2	გეგმავს იდენტიფიცირებული კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების გზებს არაფორმალური განათლების მიღების, პროფესიული ტრენინგების საშუალებით		
8.4.1	ეცნობა პროფესიულ სიახლეებს ინტერნეტ რესურსების საშუალებით		

შედეგი: დადასტურდა -----/ არ დადასტურდა -----

შემფასებლის კომენტარი (მათ შორის მტკიცებულებათა ჩამონათვალი):

დადასტურება:

3. პროდუქტის/შედეგის შეფასება

შესაფასებელი პირის სახელი, გვარი:

შეფასების თარიღი:

შეფასების ადგილი:

შემფასებლის სახელი, გვარი:

შეფასების კრიტერიუმი:		შეფასება	
		დადასტურდა	არ დადასტურდა
1.3.1	მეთოდის დაცვითა და განსხვავებული მასალის გამოყენებითაა დამზადებული პროდუქტის საჩვენებელი ნიმუშის სხვადასხვა ვარიანტი		
1.3.2	საჩვენებელი ნიმუშები დამზადებულია მეთოდის მიხედვით კომპიუტერული პროგრამის დახმარებით		
1.4.1	სწორადაა დაფიქსირებული დამკვეთის მოთხოვნები ჩანაწერის, ჩანახატის სახით		
3.1.1	ინსტრუქციის მიხედვითაა აგებული მარტივი გეომეტრიული კომპოზიციები სხვადასხვა გრაფიკული საშუალებების გამოყენებით		
3.1.2	სწორადაა აგებული სხვადასხვა ტიპის ორნამენტული კომპოზიცია თავისუფალ თემაზე		
3.2.3	დავალების შესაბამისადაა აგებული კომპოზიციები ფერში კომპოზიციის აგების ძირითადი კანონებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით		
3.5.1	სწორადაა გადატანილი ესკიზი ასლი პერგამენტის დახმარებით გადასატანი ნიმუშის ფერის, ზომის, ფორმის და შესრულების მანერის დაცვით		
4.1.2	სტანდარტის მიხედვითაა შესრულებული ფარდაგის, ხალიჩის, გობელენის ესკიზის ჩანახატები		
4.6.2	ქსოვის ტექნოლოგიური თანმიმდევრობის დაცვითაა მოქსოვილი ფარდაგი, ხალიჩა		
4.6.3	ქსოვის ტექნოლოგიური მეთოდის დაცვითაა შესრულებული კლასიკური და თანამედროვე გობელენი		
5.3.3	კომპოზიცია აგებულია ქვილთის ტექნიკის გათვალისწინებით		
5.3.4	სწორადაა გადატანილი ესკიზი შაბლონზე დაქვილთვისათვის		

5.5.2	წესის დაცვითაა შესრულებული ქსოვილის რამოდენიმე დაკავშირებული ფენის დამუშავება ხელის ან მანქანური გვირისტით		
5.6.1	ნაკეთობა მოქარგულია ხელით, მანქანით, შერჩეული ესკიზის მიხედვით		
5.6.2	სწორადაა გაფორმებული ნაკეთობა სხვადასხვა ხერხებით და მასალით		
5.7.1	სწორადაა დაკრებული ახალი დეტალი (იდენტური ან განსხვავებული ქსოვილი) დაზიანებულ ადგილას დაზიანებული დეტალის მოხსნის შემდეგ		
6.2.3	ავს ქსოვილი შედებილია ფერისა და ფორმის დაფიქსირების წესების დაცვით		
6.3.4	ესკიზს ფერში შესრულებულია ცივი და ცხელი ბატიკის ტექნიკის გათვალისწინებით		
6.3.5	სწორადაა გაფორმებული მოხატული ნამუშევარი საბოლოო სახის მისაცემად		
6.4.5	ინსტრუქციის მიხედვითაა მომზადებული დაჩითვის კომპოზიციისათვის საღებავი, საღებავის შემასქელებლები და საბეჭდი ფორმა		
6.4.6	ზუსტადაა დაცული საჩითავი კომპოზიციების დამზადებისათვის საჭირო რეცეპტის შემადგენლობა და პროპორციები		
6.5.1	ქსოვილის ფერისა და ფორმის დაფიქსირების დროს გათვალისწინებულია ქსოვილის ტექნოლოგიური შემადგენლობა და შეორთქლების წესები		
7.7.2	თექის ქსოვილი დაუთოვებულია ტემპერატურული რეჟიმის დაცვით		
7.7.3	სწორადაა დამუშავებული თექის ქსოვილის ნაწიბურები		
8.2.3	სწორადაა შესრულებული კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების სფეროების იდენტიფიკაციის დოკუმენტირება		
8.7.6	სწორადაა შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესების მახასიათებლების დოკუმენტირება და გუნდში პრეზენტაცია		

შედეგი: დადასტურდა -----/ არ დადასტურდა -----

შემფასებლის კომენტარი (მათ შორის მტკიცებულებათა ჩამონათვალი):

დადასტურება:

კომპეტენციათა დადასტურების ფორმა

პროფესიული ამოცანა	დადასტურდა	არ დადასტურდა
პროფესიული მოვალეობა 1: სამუშაო პროექტის შემუშავება		
1.1 ქმნის სამუშაო ჯგუფს		
1.2 ურთიერთობს პოტენციურ მომხმარებელთან		
1.3 ამზადებს საჩვენებელ ნიმუშებს		
1.4 საბოლოოდ უთანხმდება დამკვეთს		
პროფესიული მოვალეობა 2: სამუშაო გარემოს მოწყობა		
2.1 ირჩევს სამუშაო ფართობს		
2.2 წარმოებისათვის შეარჩევს შესაბამის ინფრასტრუქტურას		
2.3 იმარაგებს საჭირო ნედლეულსა და მასალას		
2.4 ასრულებს დადგენილ შინაგანაწესს		
პროფესიული მოვალეობა 3: კომპოზიციის შექმნა		
3.1 აგებს კომპოზიციას როგორც თავისუფალ, ისე მოცემულ თემაზე		
3.2 შეარჩევს ფერთა პალიტრას		
3.3 აზუსტებს ნამუშევრის მასშტაბს		
3.4 კითხულობს ორნამენტს		
3.5 ამზადებს ასლებს		
3.6. ამზადებს შაბლონს		
პროფესიული მოვალეობა 4: ფარდაგის, ხალიჩის, გობელენის ქსოვა		
4.1 არჩევს ესკიზს მასალაში შესასრულებლად		
4.2 არჩევს სამუშაო მასალას		
4.3 აზუსტებს ქსელისა და მისაქსელის სიმჭიდროვეს		
4.4 აწყობს საქსოვ დაზგას		
4.5 ღებავს ნართს		
4.6 ქსოვს		
4.7 აკონტროლებს ნაქსოვის ხარისხს		
4.8 ახდენს დაზიანებული ქსოვილის რესტავრაციას		
პროფესიული მოვალეობა 5: დაქვილთვა		
5.1 არჩევს ესკიზს მასალაში შესასრულებლად		
5.2 არჩევს ქსოვილს		
5.3 არჩევს ნამუშევრის ზომას		
5.4 ჭრის ქსოვილს		
5.5 კერავს		
5.6 ქარგავს		
5.7 ახდენს დაზიანებული ქსოვილის რესტავრაციას		

პროფესიული ამოცანა	დადატურდა	არ დადასტურდა
პროფესიული მოვალეობა 6: ქსოვილის მხატვრული დამუშავება (შიბორი, ბატიკა, ქსოვილის დაჩითვა)		
6.1 არჩევს კომპოზიციასა და ქსოვილს		
6.2 ღებავს ქსოვილს		
6.3 ხატავს ქსოვილზე (ბატიკა)		
6.4 ჩითავს ქსოვილს (ბეჭდავს ქსოვილზე)		
6.5 აფიქსირებს ქსოვილის ფორმასა და ფერს		
6.6 რეცხავს		
პროფესიული მოვალეობა 7: თექის მოთელვა		
7.1 განსაზღვრავს ნამუშევრის დანიშნულებას		
7.2 ახარისხებს მატყლს		
7.3 ამუშავებს მატყლს		
7.4 ღებავს მატყლს		
7.5 აფენს მატყლს		
7.6 თელავს		
7.7 აძლევს ნამუშევარს საბოლოო სახეს		
7.8 ახდენს დაზიანებული ქსოვილის რესტავრაციას		
პროფესიული მოვალეობა 8: პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვა		
8.1 ეცნობა ორგანიზაციის სტრუქტურასა და საკუთარ უფლება-მოვალეობებს		
8.2 აფასებს საკუთარ კომპეტენციებს, ცოდნასა და უნარებს		
8.3 გეგმავს საკუთარ პროფესიულ განვითარებას		
8.4 ეცნობა პროფესიულ სიახლეებს		
8.5 ერთვება პროფესიული განვითარების ღონისძიებებში		
8.6 ახდენს სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზებას		
8.7 აფასებს შესრულებულ სამუშაოს		

დადასტურება: